სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 აგვისტო 2006 №185 (2807) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადეტთა კორპუსი სიმაღლეში იზრდება

მესამე მატჩი, მესამე გამარჯვება — ქართული კალათბურთის კადეტთა კორპუსი თამაშს თამაშზე იგებს ესტონეთში, სადაც ევროპის B დივიზიონის გუნდები ერთმანეთში არკვევენ იმ ორის ვინაობას, გაისად ელიტარულ A დივიზიონში რომ ითამაშებს.

ქართველმა ჭაბუკებმა უკვე მოაგვარეს ერთი საქმე — მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. მასპინძელ ესტონეთთან საკმაოდ იოლ და ავსტრიასთან ძნელ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ, გუშინ ნიკო ჩერქეზიშვილის შეგირდებმა ოვერტაიმში 75:71 აჯობეს ნორვეგიელებს.

არადა, თამაში ისე დაიწყო, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ქართველებს საოვერტაიმო ნერვიულობა დასჭირდებოდათ — ჩერქეზიშვილმა ძირითადი ხუთეულის რამდენიმე წევრი დაასვენა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენმა კადეტებმა პირველი მეოთხედი 23:11 მოიგეს. აი, მეორე მეოთხედში კი ქართველებს სამიზნე აერიათ, ხოლო ნორვეგიელებმა პირიქით, თამაში დაალაგეს და დიდი შესვენებისთვის ანგარიში გათანაბრდა — 29:29.

მეორე ტაიმში ჩერქეზიშვილმა ძირითადის მოთამაშეები შეუშვა მოედანზე, მაგრამ ლევან შენგელიამ ძალზე სწრაფად მიიღო 5 პერსონალური და მის გარეშე თამაში კვლავაც ქულა-ქულაში გაგრძელდა. ძირითადი დრო 61:61 დასრულდა; ოვერტაიმში კი ქართველებმა, ბოლოს და ბოლოს, გატეხეს ვიკინგები.

მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე 26 ქულითა და 8 მოხსნით ნორვეგიელი სტინი იყო. ქართველთაგან უმეტესი, 18 ქულა ბარბაქაძემ მოინაგრა; მაისურაძემ 11 ქულასა და 12 მოხსნას მოუყარა თავი; ჩაჩიბაიამ 11 ქულას 9 მოხსნა დაამატა, ხოლო ძიძიგურის ანგარიშზე 10 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი იყო.

ხიზანიშვილი-არველაძე: უკეთ ვარ ვარიანტები

რამდენიმე დღის წინ საზარდულმტკივან ზურაბ ხიზანიშვილის ფარერებთან თამაში თითქმის გამორიცხული იყო, მაგრამ როცა გუშინ ხიზანიშვილს მანჩესტერში შევეხმიანეთ, შევიტყვეთ, რომ მისი თამაშის შანსი მკვეთრად გაიზარდა...

— უკეთესად ვარ, დღეს ვირბინე კიდეც და საზარდულმა ოდნავღა შემაწუხა. ექიმების დიაგნოზი მართლდება — ტკივილი გადატვირთვის ბრალი უნდა იყოს. ფარერებზე აუცილებლად ჩავალ და თუ ყველაფერი კარგად წამივიდა, იქნებ ვითამაშო კიდეც — გვითხრა ზურამ.

დღეს შოთა არველაძის „ალკმაარი" სტუმრად ინგლისურ „ბოლტონს" ხვდება და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, არველაძემ უნდა ითამაშოს — მას დაჭიმული კუნთი თითქმის ბოლომდე მოურჩა.

ერთი სიტყვით, ნაკრების ორი ტრავმიანი მოთამაშის შანსები 16 აგვისტოს ევრო 2008-ის შესარჩევის პირველ მატჩში სათამაშოდ ერთი-ორადაა მომატებული.

ევროპა ევროპას ემსგავსება

თაიგულისამაჩუყებელი ბუნდესლიგა: ოლივერ კანი ყვავილებში დაიკარგა

AFP მიუწვდომელია

ბაიერნი — დორტმუნდი 2:0. ბასტიან შვაინშტაიგერის (მარცხნივ) მეორე გოლი და მიუნხენელების მეორე სიხარული

ოლივერ კანს მე-500 ბუნდესმატჩი მიულოცეს

თვეზე მეტი გავიდა იმ დღიდან, ზიდანმა ოფლიანი თავის კვალი რომ დატოვა მატერაცის მაისურაზე. ერთი თვე საკმარისზე მეტია საიმისოდ, რომ კარგი ფეხბურთის ნახვა მოგვნატროს — დიდევროპული საფეხბურთო ქვეყნებიდან საკლუბო სეზონი გუშინ გერმანიამ გახსნა.

ევროფეხბურთი ნელ-ნელა მოიპარება და მომავალ შაბათს ინგლისის კოხტა სტადიონებზე ბურთს პრემიერლიგელებიც გააგორებენ. ორ კვირაში კი ესპანეთის ჩემპიონატიც გაბურდება, ოღონდ უზიდანოდ.

და იტალია? მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის პრეული და სასამართლოთი ხელახლა დალაგებული სერია B 10 სექტემბერს „იუვენტუსის" გარეშე დაიწყება.

სად არის თბილისი?

არქივული ბიბლიოთეკა

მიქს-კომენტარები

...„ჰერტა“ — „ამერის“ მატჩის შემდეგ სტადიონის მიქს-ზონაში შევიარე. ქართველ ფეხბურთელებთან საუბარი რა პრობლემა იყო და, ვიფიქრე, გერმანელებსაც გამოველაპარაკები, რას იტყვიან ასეთი დრამატული შეხვედრის შემდეგ-მეთქი. მერე, საქმე-საქმეზე რომ მიდგა, თავი აღარ გამომიდია. ჩავთვალე, გერმანული კითხვა-პასუხის მოსმენა უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე ჩემი კითხვა და გერმანელთა პასუხი. ხომ ცხადია, ქართველი ჟურნალისტის ნებისმიერ კითხვაზე რა პასუხსაც იტყოდნენ — ჩვენს გუნდს კომპლიმენტებით აავსებდნენ... ჰოდა, ჩავდექი გერმანელ კოლეგებს შუა და გასახდელიდან ფეხბურთელთა გამოსვლას დაველოდე. პირველი მცველი ვან ბურიკი გაჩერდა, ვინც მატჩისას „ყვითლების“ რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა ზედ საჯარიმოს ხაზთან ჩაშალა. მას ჟურნალისტებმა ჰკითხეს: შემდეგ ეტაპზე უკვე გასულები ხართ?

— რას ამბობთ?! — გაიკვირვა ჰერტელმა — შემდეგ ეტაპამდე კიდევ 90 წუთია. მეტოქემ კი ისე ითამაშა, საპასუხო მატჩისას ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენ მინიმალური უპირატესობა გვაქვს. როგორც ჩვენ გავიტანეთ გოლი, ისე შეიძლება, „ამერმა“ საპასუხო შეხვედრაში გაიტანოს. მეტოქემ ხომ დღესაც რამდენჯერმე მწვავედ შემოგვიტია.

ვან ბურიკს მოჰყვა მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ნოინდორფი, ვისი ჩაწოდებული თითქმის ყველა კუთხური სახიფათო მომენტით მთავრდებოდა და საერთოდაც, მან საქმე არ მოაკლო ამერელებს...

— ძალიან რთული მატჩი იყო, მეტოქე დაცვით ფეხბურთს თამაშობდა და გოლის გატანაც ამიტომ გაგვიჭირდა. კარგი იქნებოდა, ორბურთიანი სხვაობით მოგვეგო, უფრო მშვიდად ვიქნებოდით, მაგრამ არა უშავს. წინა შეხვედრა „მოსკვასთან“ სტუმრად მოვიგეთ და იმავეს, ალბათ, ახლაც მოვახერხებთ. ჰო, მართლა, საპასუხო მატჩი რომელ ქალაქში უნდა ვითამაშოთ?

ნოინდორფმა ქალაქი თბილისი პირველად გერმანელი ჟურნალისტებისგან გაიგო.



ბაბრი ჯეიოლაძე ბერლინიდან

მომდევნო ფეხბურთელი „ჰერტას“ მთავარმეგოლე მარკო პანტელიჩი იყო, ვინც ორი სიტყვა ძლივს დაგვამადლა — მაინც ხომ მოვიგეთ?!

...„ჰერტამ“ მოიგო, მოიგო დამსახურებულად, მაგრამ...

ბურთი ახტა, დახტა და...

ეს ჩვენი გუნდისთვის ძალიან დასანანი წაგება იყო. ამერელებს მთელი 90 წუთის ნაჯაფი ერთი უყურადღებობის გამო წყალში ჩაეყარათ. თანაც გოლსაც ხომ გააჩნია. „ჰერტას“ რაიმე გააზრებული კომბინაციის ან ვინმეს ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რომ გაეტანა, გასაგებია, მაგრამ, იცით, რა ნერვების მომშლელად შეგორდა „ნაიკის“ ბურთი ზურაბ ქვაჩახიას კარში?! ოკორონკვოს არც დაურტყამს — მეკარის ბაქანზე ბურთს ფეხი რაღაც უშნოდ გაჰკრა. დარტყმის მომლოდინე ქვაჩახიამ ნახტომში თავისუფალი კუთხე დაფარა, ბურთი კი, ვიდრე ხაზს გადაკვეთდა, სამჯერ ახტა-დახტა. ხოლო ქვაჩახიას, რომელიც უკვე გადამხტარი იყო, მოსაგერიებელი ძალა აღარ შერჩენოდა. მან ბურთს ხელი კი წაარტყა, მაგრამ კარს ვეღარ აარიდა. აი, ასეთი დასანანი გოლი გაუშვა „ამერმა“ სულ ბოლო წუთზე.

გოლი და საფინალო სასტვენი ერთი იყო. არადა, რა კარგი ანგარიშით ბრუნდებოდნენ შინ „ყვითლები“.

დაცვის ბიჯები

„ამერმა“ ბერლინში აბსოლუტურად პრაგმატული ფეხბურთი ითამაშა. მასპინძლებს სტუმართა გაორმაგებული, ეგებ გასამმაგებული დაცვითი ეშელონების გადალახვა უხდებოდათ. ასეთი ტაქტიკა, ალბათ, საუკეთესო ვარიანტი იყო ბერლინში „ჰერტასთან“ სათამაშოდ. ამერელებმა მოედნის ცენტრი მთლიანად დაუთმეს მასპინძლებს და დაცვის პირველი ხაზი საკუთარი ნახევრის სადღაც შუაში გაამაგრეს. „ჰერტას“ წამოწყებულ შეტევას პირველები დეკანოსიძე-ბოლქვაძე ხვდებოდნენ, ფლანგებზე კი — დოლიძე-ჯელაძე. მერე დობროვოლსკის ბარიერი მოდიოდა, უკვე საჯარიმოს ხაზთან და კარის წინ საქმე მცველებს ეძლეოდათ.

ბერლინელებმა „ამერის“ კარისკენ ბევრჯერ დაარტყეს, მაგრამ ქვაჩახიას ბურთის მოგერიება სულ სამჯერ მოუხდა, ერთხელაც მეკარეს კარის ხაზზე მდგომი მჭედლიშვილი წაეხმარა, რომელმაც ჯერ პანტელიჩის, მერე კი ლაკიჩის დარტყმული ბურთები გამოიტანა. ეს ეპიზოდი პირველი ტაიმის შუაში იყო და მატჩში ყველაზე რეალური საგოლე გამოდგა.

შესვენების შემდეგ „ჰერტას“ ისეთი არაფერი შეუქმნია, ვთქვათ, „ამერი“ გადარჩაო. თამაში, რა თქმა უნდა, უფრო გამოცდილ მასპინძლებს მიჰყავდათ, ხოლო თბილისელები თავიანთ შანსს ელოდნენ და სადღაც 65-ე წუთიდან, როცა „ჰერტა“ უგოლობამ დაძაბა და აანერვიულა, კონტრშეტევებისთვის მეტი სივრცე მიიღეს. „ყვითლები“ მეორე ტაიმის მეორე ნახევარში სამოთხჯერ სახიფათოდ მიუახლოვდნენ კიდეც ფიდლერის კარს, მაგრამ ხან დარტყმა დააყოვნეს, მცველებმა დაუფარეს და კუთხურზე მოიგერიეს, ხანაც შემტევებს სითამამე არ ჰყოფნიდათ და მცველებთან ერთი-ერთზე წასვლას ერიდებოდნენ. ზოგადად კი, ჩანდა, „ამერმა“ ოდნავადაც არ გარისკა, ოორემ მოედნის ცენტრში ეულად მყოფი დავითაშვილი, როცა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებიდან ატანილ ბურთს დაიჭერდა, ფლანგებზე შეტევის გასაგრძელებლად ემზადებოდა. „ჰერტას“ სწორედ ფლანგებზე რჩებოდა თავისუფალი ზონები, მაგრამ ვერც ჩვენები ავსებდნენ იმ სივრცეებს და დავითაშვილიც იძულებული იყო, ხან მარტოს ეცადა ბედი, ხანაც ბურთი უკან დაებრუნებინა.

სასიამოვნოდ გვენიშნა, რომ „ამერს“ ფიზიკურ მომზადებაში ბუნდესლიგის მეექვსე გუნდისთვის არაფერი დაუთმია და ეპიზოდებში „სპრინტერულ დისტანციებზე“ ქართველები სჯობნიდნენ კიდეც გერმანელებს.

ორი ჯვირის შემდეგ...

ცხადია, „ამერს“ რომ ბერლინში ფრე ეთამაშა, შემდეგ ეტაპზე გასვლის გაცილებით მეტი შანსი ექნებოდა, ვიდრე ახლა, როცა 1:0 გერმანელთა სასარგებლოდაა.

„ყვითლებმა“ სტუმრად მატჩისას დაამტკიცეს, რომ სწორი თამაშისა და ჟინის ხარჯზე „ჰერტას“ დამარცხება შეიძლება.

თბილისში გადამწყვეტი, ვფიქრობ, სწორედ ტაქტიკური მონახაზი უნდა იყოს. 0:0-ზე „ყვითლებს“ თბილისშიც იგივე ფეხბურთის თამაში შეეძლებოდათ, რაც ბერლინში აჩვენეს და ისევ შანსს დაელოდებოდნენ, რომელიც, ალბათ, აუცილებლად მიეცემოდათ. ამ ანგარიშზე კი „ამერი“ იძულებულია, შეუტიოს, ეგებ თავიდან დიდი ძალებით თავდასხმა საჭირო არც იყოს, მაგრამ მაინც, როცა იქნება, „ამერს“ შეტევა მოუწევს და ჩვენები „ჰერტასგან“ ყველაზე მეტ პრობლემას სწორედ მაშინ უნდა ელოდნენ.

თბილისელებმა სწრაფი გოლი თუ გაიტანეს, ამ შემთხვევაში მათი საქმე შედარებით გაიოლდება, რაც მეტოქეს ალბათ შესამჩნევად დათრგუნავს და...

მოკლედ, იმედი არის!

კოტა ინასარიძე
ბერლინი — თბილისი

გერმანია

ბუნდესლიგა. I ტური

ბაიერნი 2:0 დორტმუნდი

II ბუნდესლიგა. I ტური

ბურგჰაუზენი 0:4 კარლსრუე
კაიზერსლაუტერნი 1:0 ესენი
ოფენბახი 2:2 კარლ ცაისი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა III ტური

ერფურტი 1:2 ოსნაბრიუკი

ავსტრია

I დივიზიონი. III ტური

ადმირა 1:5 შვანენშტადტი
აუსტრია (მ) 0:1 ჰარტბერგი
ლუსტენაუ 5:4 კაპფენბერგი
გრატკორნი 3:0 კერნტენი
ლინცერი 0:3 აუსტრია (ლ)
ლეობენი 2:0 პარნდორფი

ჰოლანდია

II დივიზიონი
I ტური

აპელდორნი 3:1 კამბური
გრაადსხაპი 0:1 იგლსი
დენ ბოსხი 2:0 ტელსტარი
დორდრეხტი 3:0 ალმერე
სიტარდი 0:0 ზვოლე
ჰაარლემი 1:1 ვოლენდამი
ჰელმონდი 1:1 მაასტრიხტი
როზენდალი 3:1 ოსი
ვეენდამი 1:1 ემენი
ვენლო 1:1 ეინდჰოვენი

ირლანდია

პრემიერდივიზიონი
XXI ტური

ბრეი 0:3 ბოჰემიანსი
შელბურნი 2:2 კორკი

საფრანგეთი

II დივიზიონი. IV ტური

ბასტია 4:2 ბრესტი
შატორუ 2:2 გრენობლი
კრეტეი 0:0 გენიონი
დიჟონი 1:0 რეიმსი
გენგამი 1:2 ლე ავრი
მეცი 1:0 ლიბურნი
ნიორი 2:2 სტრასბური
ტურსი 1:0 აიაჩო
მონპელიე 4:0 ისტრი

ინგლისი

ჩემპიონატი. III ტური

ვულვერჰემპტონი 1:3 პრესტონი

პოლონეთი

I ლიგა. III ტური

ვიძევი 2:1 ლოძი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა
IV ტური

კონკორდია 0:0 ბელინცონა

თურქეთი

სუპერლიგა
II ტური

ბეშიქთაში 2:1 გაზიანთეფი

ამხანაგური მატჩები

გრონინგენი (ჰოლანდია) 2:2 ასტონ ვილა (ინგლისი)
უტრეხტი (ჰოლანდია) 2:2 ჩარლტონი (ინგლისი)
ვალვაიკი (ჰოლანდია) 1:1 სარაგოსა (ესპანეთი)

დავით ყიფიანის თასი

პირველი ეტაპი. პირველი მატჩი

11 აგვისტო

დინამო ბათუმი 1:2 მგლები ზუგდიდი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ი. კაკაბაძე, ნ. რუსიშვილი, მ. ნაკაიძე

საქართველოს ნაკრებს მეზღვაურობა მოუწევს

სამი კუნძული და ექვსი გადაცურვა

16 აგვისტოს ფარერის კუნძულებთან მატჩისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრები 13 აგვისტოს შეიკრიბება დანიის დედაქალაქში. კოპენჰაგენში ლეგიონერები და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ფეხბურთის ფედერაციის შტაბთან ერთად ჩავლენ — ასეთნაირად შეკრებილი დელეგაცია კოპენჰაგენიდან გადაფრინდება ფარერებზე.

ფარერები 18 კუნძულისგან შედგება, რომელთაგან ერთი უკაცრიელია. ქართული დელეგაცია კოპენჰაგენიდან კუნძულ ვაგარზე ჩაფრინდება, სადაც ქვეყნის ერთადერთი აეროპორტია — მეორე მსოფლიო ომის დროს ფარერები ბრიტანეთმა დაიპყრო და ვაგარის აეროპორტიც მაშინ ააშენეს.



ვაგარიდან საქართველოს ნაკრები საწყლოსნო გზით კუნძულ სტრეიმოიზე გადაინაცვლებს და ფარერების დედაქალაქ ტორსჰავნში დაბინავდება. ცხადია, იმავე დღეს გუნდი ვერ ივარჯიშებს, 14 აგვისტოს კი ტორსჰავნის ერთ-ერთ მოედანზე ექნება წვრთნა.

15 აგვისტოს, მატჩის წინა დღეს, გუნდი კუნძულ იესტუროიზე გადაცურავს და ტოფტირის სტადიონსაც მოსინჯავს, სადაც გაიმართება კიდეც მატჩი 16 აგვისტოს.

ანუ, სტრეიმოიდან იესტუროიმდე ნაკრები ორჯერ გაცურავს და გამოცურავს, ხოლო ვაგარიდან სტრეიმოიმდე — ერთხელ. ეს კუნძულები ჩრდილო ატლანტიკურ ოკეანესა და ნორვეგიის ზღვას შორის მდებარეობს.

ერთიც: საქართველოს ნაკრებში, რომელსაც ტრავმირებული ჰყავს სამი წამყვანი მცველი — კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი — ოდესის „ჩერნომორეცის“ მცველ გიორგი შაშიაშვილსაც უხმეს. დაცვაში ის დავით კვირკველიას, კახა ალადაშვილის, ლაშა სალუქვაძეს, ილია კანდელაკს და დავით იმედაშვილს დაამატა კლაუს ტოპმიოლერმა.

დავით თავართქილაძე

რინკონმა კალაძეს 19 წამი წაართვა

ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში კიევის „დინამომ“ თურქული „ფენერბაჰჩე“ 3:1 დაამარცხა.

მართალია, ამ მატჩში დინამოელ ქართველებს, ოთარ მარცვალაძეს და დავით იმედაშვილს არ უთამაშიათ, მაგრამ ერთი „ქართული“ ამბავი მაინც მოხდა. უფრო სწორად, ქართული რეკორდი დაემხო — კიეველთა ბრაზილიელმა დიოგო რინკონმა 25-ე წამზე გაიტანა გოლი, რაც „დინამოს“ ისტორიაში ევროთასებზე გატანილი უსწრაფესი გოლია. აქამდელი რეკორდის ავტორი კი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე გახლდათ — მან ექვსი წლის წინ ბელგიურ „ანდერლეხტს“ 44-ე წამზე გაუტანა.

კახა შალამბერიძე

ვიტ ჯორჯია — სიონი კაბინეტში დამთავრდა

ბაჩარა დულუბავა/ბეკა ფოტო

კახა ცხადაძე

გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ჩატარდა და მეორე ტურის „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ მატჩში მომხდარი ინციდენტები განიხილა. საბოლოოდ გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ასეთი სასჯელები მიიღეს:

კახა ცხადაძე (სიონი) მოედანზე მსაჯ ლევან კვარაცხელიასთან შევარდნისა და გინების გამო დაისაჯა 5 თამაშით და 500 ლარით. ამის გარდა, სეზონის ბოლომდე მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია. განმეორების შემთხვევაში, კომისია განიხილავს ცხადაძისთვის სამწვრთნელო ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხს.

ერიკ ჩასემი (სიონი) ვიტელ ადამაძისთვის თავით ჩარტყმის გამო დასჯილია 4 თამაშით და 500 ლარით.

ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) „სიონთან“ მატჩში ორი გაფრთხილებით გააძევეს, რის გამოც ერთ მატჩს გამოტოვებს.

ლუკა თალაკვაძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

დონადონი ტოტის ახუჭუჭებს

იტალიის ნაკრების ახალ დამრიგებელ რობერტო დონადონის ცხოვლად სურს, „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ სანაკრებო კარიერა გააგრძელოს — ტოტის დასარწმუნებლად დონადონიმ უკვე გამოიყენა პირველი ცდა — მას ტელეფონით ესაუბრა.

ფრანჩესკო ტოტის უწინდელი სიტყვა ასეთია — გერმანია 2006-ის შემდეგ ნაკრებში აღარ ვითამაშებ!

თუმც სატელეფონო საუბარს დავუბრუნდეთ — იტალიური მედია ირწმუნება, მხარეებმა საკმაოდ ბევრი ისაუბრეს, შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ და მწვრთნელ-ფეხბურთელს შორის მოლაპარაკება კიდევ გაგრძელდებაო.

ტოტი ნაკრებზე უარს იმიტომ ამბობს, ოჯახთან უფრო მეტხანს მინდა ყოფნაო. დონადონი კი მას ასეთ რამეს სთავაზობს — ამხანაგურ მატჩებში არ გამოგიძახებ, მხოლოდ ოფიციალური თამაშებისთვის გიხმობ.

„სკუადრა აძურას“ მწვრთნელად 42 წლის დონადონის დებიუტი 16 აგვისტოს აქვს — „აძური“ ამხანაგურად გაეჯიბრება ხორვატიას და იტალიელთა შორის ის ფეხბურთელები არ იქნებიან, რომლებიც გერმანია 2006-ზე იყვნენ. გამონაკლისი მარკო ამელია, ვინც მუნდიალზე იტალიის ნაკრებში მესამე მეკარედ ითვლებოდა.

იტალია ევრო 2008-ის შესარჩევს 2 სექტემბერს იწყებს ლიტვასთან მატჩით და დონადონის იმედი აქვს, რომ იმ დღეს ათნომრიან მაისურას ტოტი ჩაიცვამს.

დავით თავართქილაძე

geo_geo_fan@hotmail.com

16 აგვისტომდე ბევრიც არაფერი დარჩა და ჩვენი რუბრიკაც უკვე ამოქმედდა — დღეს სამი ქომაგის წერილს ვაქვეყნებთ...

საინტერესოა, რომ სამივე ოპტიმიზმით სავსე წერილია, თუმცა **bobah_georgian**-ს ცოტა შიშიც შეპარვია, ვაითუ, ფარერებზე ფეხი გადაგვიბრუნდესო. ვნახოთ, ეს ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება, მანამდე კი ისევ ველით თქვენს წერილებს...

GIOG8t: „სარბიელს“ გაუმარჯოს! ძალიან კარგია, ეს რუბრიკა რომ არსებობს. სხვა ქვეყნის ნაკრებებზე წერას, ჩემი ქვეყნის ნაკრებზე წერა მირჩევნია. კარგია, ასეთი ძლიერი მწვრთნელი რომ გვყავს, მაგრამ მარტო ტოპმიოლერი საქმეს ვერ უშველის, თუ ფეხბურთელებმა ვერ შეასრულეს მისი დავალება.

ფარერებზე, მგონი, 2:0 უნდა მოვიგოთ — ერთს პირველ ტაიმში გავიტანთ, მეორეს მეორე ტაიმში. საქმეც ხუთიანზე დაწყებული იქნება. ამ თამაშში თავის სიტყვას კობიაშვილი და ასათიანი იტყვიან. საფრანგეთთან თამაშზე ჯერ არაფრის თქმა არ მინდა, ჯერ ფარერები დავამარცხოთ და მერე ფრანგებიც ზედ დავაყოლოთ (იტალიაზე და უკრაინაზე არაფერს ვამბობ).

არა, ძალიან ძლიერი ჯგუფია, ფარერების გარდა ყველა ძლიერი გუნდია. ცოტა გამაღიზიანებელიც კია ეს ყველაფერი. რაღა ჩვენ უნდა გვხვდებოდეს მსოფლიოს პირველი და მეორე გუნდი, ან ათეულში მყოფი გუნდი... ეგ არაფერი, ჩვენ ჩვენი ვითამაშოთ და აქედან თუ ვერა, შემდეგი შესარჩევიდან აუცილებლად გავალთ, ოღონდ ვაცადოთ ტოპმიოლერს. აგერ, ეროვნული სტადიონიც გაკეთდა უმაღლეს დონეზე, ბალახიც ისეთია, უკეთესს ვერ ინატრებ, ეს ფერად-ფერადი სკამებიც ლამაზია, მოკლედ, ჰა ბურთი და ჰა მოედანიო, რომ იტყვიან.

წინ საქართველო! ფარერებზე დაწყებული საქმე საფრანგეთთან თბილისში გავაგრძელოთ და ორ ტურში 6 ქულასთან ერთად პატარა ზეიმიც მოვაწყოთ. დანარჩენი კი მერე გამოჩნდება. ამის დიდი იმედი მაქვს.

დროებით, წარმატების მოლოდინში...

SHANTAL MOPASANI: გამარჯობა! პირდაპირ ვიტყვი, ასე ოპტიმისტურად განწყობილი კარგა ხანია, არ ვყოფილვარ საქართველოს ნაკრების მიმართ. იმედი მაქვს, შესარჩევ ციკლში ღირსეულად ვითამაშებთ. ნაკრებმა უნდა ითამაშოს, დროა უკვე. ამ ჯგუფში ჩარჩენა საქართველოს ნაკრებისთვის სამარცხვინო ნამდვილად არ იქნება. მე, როგორც ერთი ქართველი გულშემატკივარი, ჟინიან და ლამაზ თამაშს ველი. თუ ეს ასე იქნება, შედეგიც არ დააყოვნებს. ფარერების მატჩამდე, ვგონებ, ტოპმიოლერმა საკმაოდ იმუშავა, ერთი კია, რომ ნაკრების ზოგიერთი ძირითადი ფეხბურთელი ტრავმირებულია, მაგრამ ნაკრებმა ფარერებს აუცილებლად უნდა მოუგოს!

როგორც იქნა, ახდა ქართველთა ოცნება და გვაქვს ეროვნული სტადიონი. ამისთვის ყველას დიდი მადლობა. ახლა დროა, გვყავდეს ეროვნული გუნდი, რომელსაც საქართველო ჰქვია.

BOBAH GEORGIAN: სალამი „სარბიელს“. დრო სწრაფად გავიდა და აგერ, მეთევზეთა კუნძულზე პირველი გამოცდა გვაქვს ჩასაბარებელი. სიმართლე გითხრათ, ძალიან ვნერვიულობ. არ მინდა, ავსტრიის და შოტლანდიის „გმირობა“ განმეორდეს და ქულები დავტოვოთ ფარერებზე. კარგია, რომ საერთო განწყობა საბრძოლოა და ყველა ხვდება იმას, რომ ძალიან რთული შეხვედრა გველის. მაგრამ მაინც რაღაც მთლად კარგი წინათგრძნობა არ მაქვს.

ნახევარ წელზე მეტია, ბატონი კლაუსი ჩვენი მწვრთნელია, მაგრამ ვალიარებ, დიდი არაფერი შეცვლილა. გადახედეთ ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა გვარებს და თავად დარწმუნდებით, იგივე სახეებია. ბატონი კლაუსი სანტა-კლაუსი არაა, სასწაულები რომ მოეხდინა.

იმედი გვაქვს, სხვა ტაქტიკა და სტრატეგია იქნება ახლა ჩვენი კოზირი იგივე კონტინგენტით. მაგრამ, მოდით, ვიყოთ გულახდილები. ფარერებზე მოგების შანსი გვაქვს, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის — ძალიან, ძალიან მინიმალური. აი, სასწაულის ტოლი რომაა, ისეთი შანსი თუ გვაქვს.

მე მთელი ჩემი ცხოვრების ოცნება ავიხდინე და გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გახლდით. ცოცხლად ვიხილე საფრანგეთიც, იტალიაც და უკრაინაც. უკრაინა დიდი არაფერი გუნდია, „შევა“ რომ არ თამაშობდეს, ბელარუსის ნაკრების დონისა თუ იქნება, მაგრამ პირველი ორი სულ სხვა დონეა, სულ სხვა განზომილებაა...

ბოლომდე გვერდით დავუდგეთ ჩვენს ნაკრებს. დიდი ალბათობაა (როგორ მინდა, ცცდებოდე) უკვე ოქტომბერში ყველაფერი გარკვეული იყოს და „საპატიო“ მეოთხე ადგილისთვის გავაგრძელოთ ბრძოლა.

მაგრამ მოთმინება გვმართებს... ისევე, როგორც ფარერებზე მოგება.

ჩვენ ხომ ერთი გუნდი ვართ, მაგრამ რატომ დადის ნაკრების მწვრთნელი თუ ფედერაციის პრეზიდენტი სასტუმროების თუ მოედნების დასათვალიერებლად, მაინც არ მესმის. თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა...

ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

geo_geo_fan@hotmail.com

კაპიტანი ჯონი კინალამ აჭირდა

მაკლარენმა ბექემს მკლავი მოაჭრა და ტერის ჩააბარა

დევიდ ბექემს სტივ მაკლარენის ხელში შევიწროება ელის — ინგლისის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა კაპიტნად ჯონ ტერი დანიშნა. გამოვიდა, რომ ბექემი კაპიტნობიდან წარუმატებელი მუნდიალის შემდეგ გაუშვეს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მომავალ ოთხშაბათს ინგლისელებს ბერძნებთან ამხანაგური თამაში აქვთ და მაკლარენმა აწ უკვე ყოფილი კაპიტანი საერთოდ არც გამოიძახა.

კაცმა რომ თქვას, გერმანიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბექემს მუხლი და კოჭი სტკიოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბოლო ერთი კვირაა ის ჩვეულებრივად ვარჯიშობს და არც „რეალის“ შემადგენლობაში „DC იუნაიტედთან“ თამაშში შეშლია ხელი. ეს ამხანაგური შეხვედრა მადრიდელებმა აშშ-ში, კერძოდ სიეტლში ჩაატარეს.

ხოლო ნაკრების ახალი, 25 წლის კაპიტანი სიხარულისგან ლამის ატირდა:

„ეს ენით აუწერელი პატივია“ — ამოილუღლუღა იმავდროულად „ჩელსის“ კაპიტანმა.

და როგორც ყოვლისმცოდნე გაზეთმა „საწმა“ ტერის მეგობრებისგან შეიტყო, როდესაც მწვრთნელმა ჯონს ეს სიახლე გაანდო, მას თავი ემოციისგან ვერ შეუკავებია.

ტერის მავანი მეგობარი: „ჯონი ბედნიერიც იყო და ვერც იჯერებდა, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნად დანიშნეს. ეს მისთვის და მისი ახლობლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ. თავად დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი სტივენ ჯერარდი გახდებოდა“.

ტერი, რომლის დებიუტი კაპიტნის რანგში საბერნეთის ნაკრებთან შედგება: „ძალიან მეამაყება თავის გამოჩენის ასეთი დიდი საშუალება რომ მომეცა“.

რაც შეეხება ჯერარდს, ის ვიცე-კაპიტნად დანიშნეს.

სტივ მაკლარენი: „მწვრთნელისთვის კაპიტნის არჩევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია. დარწმუნებული ვარ, რომ ტერის არჩევით ნაკრების სამკლავური ღირსეულ და შესაფერის ადამიანს ჩავბარე. ნახავთ, ის ინგლისის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიადი კაპიტანი გახდება. ჯონი ყველა საჭირო თვისებით არის შემკული — ლიდერია, ავტორიტეტით სარგებლობს, ვაუკაცია, ტაქტიკურად განსწავლულია და რაც მთავარია, მეორეობას ვერასოდეს ეგუება. კაპიტნობის მთავარი კანდიდატი გახლდათ სტივენ ჯერარდიც და მე ის ვიცე-კაპიტნად დავნიშნე. ჯერარდიც ის ადამიანია, რომელიც სხვათათვის მაგალითია.“

„სანის“ კორესპონდენტებმა კომენტარი ინგლისელთა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ვარსკვლავს, თამაშით და ქცევით გამორჩეულ უეინ რუნისაც ჰკითხეს. რუნიმ მიუგო:

„ტერი მოედანზე ლიდერია. ის „ჩელსის“ დიდი კაპიტანია და იმედი მაქვს, რომ ნაკრებშიც ასევე იქნება“.

ხოლო ჯერარდმა ტერის მილოცვა და დიდი მომავლის სურვილი შეუთვალა.

პაპუნა კედია

ჯეიმსი საცოლესთან ითამაშებს

„მანჩესტერ სიტის“ მეკარე დევიდ ჯეიმსის „პორტსმუთში“ გადასვლის ამბავი ფაქტობრივად მოგვარებულია. კლუბები ფასზე უკვე მორიგდნენ. ჯეიმსის საცოლე პორტსმუთში ცხოვრობს და მეკარემაც მწვრთნელს უთხრა, სამხრეთში გადასვლა მირჩევნიაო. პორტელების შეთავაზებულ თანხას „სიტი“ დაჰყაბულდა. სიტელების ოფიციალურ განცხადებაში წერია: „ვადასტურებთ, რომ გარიგება შედგა. 36 წლის ჯეიმსი „ფლატონ პარკზე“ გადავა“.

„სიტის“ დევიდ ჯეიმსის შემცვლელად „რენის“ მეკარე ანდრეას ისაკსონი სურს და ამ საქმესაც, ალბათ, გაჩარხავს.

მანჩესტერელთა მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა განაცხადა, რომ ტუნისელი მცველის, ჰატემ ტრაბელსის ტრანსფერიც გადაწყვეტილია. „აიაქსის“ ლეგიონერს ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა და იგი უფასოდ გადავა პრემიერლიგის გუნდში. ამით დაცვის ხაზი უფრო გაძლიერდება. შეგახსენებთ — პირსმა ამ ზაფხულს გადაიბირა პოლ დიკოვი, უსმან დაბო, ბერნარდო კორადი, დიტმარ ჰამანი და ჯო ჰარტი.

„ტრაბელსის მსოფლიოს სამ ჩემპიონატზე უთამაშია და უმაღლესი კლასის ფეხბურთელია“ — თქვა პირსმა.

ირაკლი ნინიძე

კუშჩაკი ვან დერ სართან გამდიდრდება

ტომაშ კუშჩაკი

პოლონელი მეკარე ტომაშ კუშჩაკი ინგლისური ჩემპიონლიგის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონიდან“ თვით „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“ ხსენებული გოლკიპერი 2004 წელს, თბილისის „ამერის“ აჟამინდელ მეტოქე ბერლინის „ჰერტადან“ მოხვდა და სანამ „ვესტ ბრომვიჩი“ გავარდებოდა, 30 პრემიერლიგური თამაში მოასწრო.

ტომაშ კუშჩაკი გახლდათ პოლონეთის სამუნდიალო ნაკრების წევრიც, თუმცა მოედანზე გამოსვლა არ მოეწია.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი: „კუშჩაკი ფრიად ნიჭიერია და პრემიერლიგის ძალასა და დაძაბულობას იცნობს. ეჭვი არ არის, ის ედვინ ვან დერ სარის დონის მეკარესთან თანამშრომლობით და გვერდზე ყოფნით ფრიად გამდიდრდება“.

თავისი კლუბის საინტერნეტო საიტზე ისაუბრა „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელმა ბრაიან რობსონმაც:

„კუშჩაკს რამდენჯერმე შევხვდი და ვიგრძენი, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა ძალიან უნდოდა. იგი პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შესაძლებლობამ მოხიბლა. მეც დავინახე, რომ ამ ნაბიჯს შეიძლებოდა ტომაშის კარიერაში გარდამტეხი როლი ეთამაშა და უარი აღარ ვუთხარი“.

პაპუნა კედია

შოტლანდიელმა ფრანგს მარტინი გაუგზავნა

გლაზგოს „რეინჯერსმა“ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ლი მარტინი ერთი სეზონით ითხოვა. 19 წლის ფეხბურთელმა სეზონისწინა შეკრებაზე ალექს ფერგიუსონის ქება დაიმსახურა, თუმც ძირითად შემადგენლობამდე ჯერ კიდევ უკლია. შოტლანდიელმა მწვრთნელმა ამიტომაც დაუთმო ნიჭიერი ნახევარმცველი „ჩაფრების“ თავკაც ლე გუენს, რომ იქ ძირითადში ათამაშონ და გამოცდილება მიიღოს.

„მოხარული ვარ, ასეთ დიდ კლუბში გადასვლით — განაცხადა მარტინმა — ეს თითქმის დაუჯერებელია და ვეცდები, თავი არ შევირცხვინო. მომდევნო ერთ სეზონში უნდა გავიზარდო როგორც ფეხბურთელი“.

გიორგი დარჯანია

ზლატან იბრაჰიმოვიჩი ამბობს, რომ იგი სერია B-ში თამაშის კოშმარისგან „ინტერმა“ იხსნა — შვედი ფორვარდი ბედის გამოგზავნილ შანსს ჩაებღაუჭა და „დელე ალპიდან“ „სან სიროზე“ უსწრაფესი ნახტომი შეასრულა

იბრაჰიმოვიჩის ნახტომი კოშმარიდან ბავშვობაში

„სერია B-ში თამაში კარგი რომ არ არის ფაქტია და სწორედ ამიტომ დავთანხმდი „შავ-ლურჯების“ პირველსავე შემოთავაზებას — განაცხადა ფორვარდმა, რომელშიც მილანელებმა 24,8 მილიონი ევრო გადაიხადეს — დიდ ბოდიშს კი ვუხდი „იუვენტუსის“ ქომაგებს, მაგრამ ჩემს მომავალზე უპირველეს ყოვლისა უნდა ვიფიქრო. ასეთია ფეხბურთის სამყარო“.

მას მერე, რაც გასულ კვირას, „სპეციასთან“ ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ იბრაჰიმოვიჩი არ მივიდა, ნათელი გახდა, რომ „ბებერი ქალბატონიდან“ წასვლისთვის ის ყველაფერს გაიღებდა და, ამიტომ, აღარც თავად კლუბმა აიტკივა თავი ახალი შეთავაზებებითა და წინადადებებით.

„ტურინელებთან ჩემს კონტრაქტს, რამდენადაც შემეძლო, პატივი ვეცი. კლუბის მიმართ აბსოლუტურად პროფესიულად მოვიქეცი. „იუვენტუსს“ დიდ წარმატებებს ვუსურვებ. მინდა მისმა ფეხბურთელებმა და მწვრთნელმა ერთ სეზონში დაიბრუნონ სერია A-ში თამაშის უფლება“ — დასძინა „იბრამ“ და „დელე ალპიზე“ გატარებულ ორ წელიწადს წერტილი დაუსვა. ახლა შვედის ცხოვრებაში ახალი ფურცელი უნდა ჩაიწეროს.

„ბავშვობაში „ინტერის“ გულშემატკივარი გახლდით. „ინტერი“ ევროპის ერთ-ერთი უდიადესი კლუბია. ძალიან ბედნიერი ვარ, „შავლურჯებთან“ მოლაპარაკებებმა კარგად რომ ჩაიარა, რისთვისაც მადლობა დირექტორატის წევრებს — მარკო ბრანკას და გაბრიელე ორეალის, განსაკუთრებული მადლობა კი მეპატრონეს, მასიმო მორატის მინდა გადავუხადო“.

ამრიგად, იბრაჰიმოვიჩი ბედნიერია და „ინტერს“ ევროპის ერთ-ერთ უდიადეს კლუბს უწოდებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს უდიადესი კლუბი ბოლო თხუთმეტი-თექვსმეტი წელიწადია უდიადეს წარმატებებთან მწყრალად არის.

იბრაჰიმოვიჩი: „აქ ფეხბურთის სათამაშოდ ძალიან კარგი გარემოა, ხოლო ის, რომ ბოლო წლებში გუნდს გამარჯვება უჭირს, მე, პირიქით, საბრძოლველად განმაწყობს კიდეც. გამარჯვებისთვის ყველაფერს გავიღებ. ზედმეტობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე ის კაცი ვარ, რომელიც იმარჯვებს და დამარცხებას ვერ ეგუება“.

24 წლის თვითდარწმუნებული თავდამსხმელი იმასაც ამბობს, რომ საკუთრივ გუნდში არ აშინებს ადრიანოსთან, ერნან კრესპოსთან, ობაფემი მარტინსთან, ხულიო კრუზთან და ალვარო რეკობასთან კონკურენცია.

„მე ჩემპიონებითა და ვარსკვლავებით სავსე კლუბში ჩამოვედი, რომელსაც, მართალია, ექვსი თავდამსხმელი ვყავართ, მაგრამ სეზონი იმდენად ხანგრძლივია, რომ ყველას ეყოფა. ფაქტია, თამაში ყველას უნდა, მაგრამ მე მწვრთნელის გადაწყვეტილებას დავემორჩილები“ — ამბობს კაცი, რომელმაც გასულ სეზონში „იუვენტუსის“ შემადგენლობაში სკუდეტო მოიპოვა. შემდეგ ეს სკუდეტო სპორტულმა სასამართლომ გუნდს და, შესაბამისად მასაც ჩამოართვა... გადასცა, „ინტერს“, რაც იმას ნიშნავს, რომ იბრაჰიმოვიჩი 2005-06 წლების სეზონის ფაქტობრივი ჩემპიონიც არის და იურიდიულიც.

„მე ბოლო ორი წლის სკუდეტო მოედანზე ბრძოლით და შრომით მოვიგე. მათ ვერავინ, ვერანირი ძალის გამოყენებით ვერ წამართმევს. იტალიის ჩემპიონი იმიტომ ვარ, რომ ყოველ დღე ოფლს ვღვრიდი და, პირდაპირ გეტყვით, ის, რაც „იუვენტუსს“ გაუკეთეს, ძარცვა და მეტი არაფერია“ — დააგვირგვინა იბრაჰიმოვიჩმა.

ბაბუნა კედია

ვიერი გენუას მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა?

ან მისვლა რა იყო და ან წამოსვლა: ცნობილმა თავდამსხმელმა, 33 წლის კრისტიან ვიერიმ „სამპდორია“ ერთ თვეში დატოვა. მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ბოლოს ფრანგულ „მონაკოში“ თამაშობდა, საიდანაც ივლისში „სამპდორიაში“ გადაბარგდა. „მონაკოში“ ვიერიმ მხოლოდ შვიდი თამაში მოასწრო, შემდეგ კი ტრავმამ წაუხდინა ჯანმრთელობაც და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის იმედიც

საინტერესოა, რომ „სამპდორიას“ ვებ გვერდზე, ვიერის წასვლა, მისი და კლუბის აღმასრულებელი შეფის, ჯუზეპე მაროტას „მშვიდი“ შეხვედრის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებად არის აღწერილი. ამაზე დაწვრილებით არაფერი თქმულა.

კრისტიან ვიერიმ კარიერა „პრატოში“, სერია C-ში 1989 წელს დაიწყო. სერია A-ში პირველად 1991 წელს, „ტორინოს“ შემადგენლობაში ითამაშა. შემდეგ იყო ბერგამოს „ატალანტა“, „იუვენტუსი“ და მადრიდის „ატლეტიკო“, რასაც 1998-99 წლების სეზონში „ლაციო“, ხოლო ერთი სეზონი რომ გავიდა „ინტერი“ მოჰყვა. იმხანად „ინტერმა“ ვიერიში, მსოფლიო ფეხბურთში სარეკორდო თანხა, 49 მილიონი დოლარი გაიღო.

„ინტერში“ ვიერიმ ექვსი სეზონი გაატარა, 143 შეხვედრაში 102 გოლი გაიტანა, ხოლო 2003 წელს 23 გოლით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირის წოდება მიიღო. ამის შემდეგ მან ცოტა ხანი „მილანში“ გაატარა და „მონაკოშიც“ იქიდან გადაბარაგდა.

ბაბუნა კედია

ხოსე პეკერმანი

პორტუ ეძებს კარგს და იაფს

„პორტუს“ ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელს ეძებს. კო ადრიანსეს წასვლის შემდეგ პორტუგალიური კლუბის თავკაცები, სავარაუდო დამრიგებლად ესპანელ ხოსე ანტონიო კამაჩოს და არგენტინის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ხოსე პეკერმანს მოიაზრებენ.

კამაჩო ლუზიტანურ ფეხბურთს შესანიშნავად იცნობს, რადგანაც ადრე „ბენფიკას“ თავკაცი გახლდათ. თავის დროზე, ვიდრე კო ადრიანსეს შეუთანხმდებოდნენ, „პორტუს“ უფროსობას „დრაგაუზე“ სწორედ სენიორ ხოსე ანტონიოს მიყვანა უნდოდა. თუმცა კამაჩოს ტრანსფერს ერთი რამ აბრკოლებს — მწვრთნელი მაღალ ანაზღაურებას ითხოვს, რისი გადახდაც „პორტუს“ პრეზიდენტ ნუნო პინტუ და კოშტას თქმით, ძალიან ძნელია.

შედარებით იოლადაა საქმე ხოსე პეკერმანთან. არგენტინელი არც უსაშველო ხელფასს ითხოვს და მისი სათამაშო სტილიც „პორტუსას“ ზედმიწევნით წაგავს.

ხსენებულ სპეციალისტთა გარდა, „ეშტადიუ დრაგაუს“ გუნდის მწვრთნელად შეიძლება, ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგო, ან პორტუგალიელი კარლუშ კეირუშიც მოგვევლინოს. ლუშემბურგო ბრაზილიელებით გატენილი „პორტუსთვის“ იდეალური თავკაცი იქნება, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის თანაშემწე კეირუში კი პორტუგალიურ ფეხბურთს ხუთი თითივით იცნობს — ადრე ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი იყო და ლუზიტანთა ლეგენდარული ლუიშ ფიგუც მისი აღმოჩენილია. თუმცა კეირუშის „იუნაიტედთან“ კონტრაქტის ანულირება ძალიან ძვირი ღირს.

ლადო ხომერიკი

ლექცია თემაზე: რატომ არ დანიშნეს მარადონა არგენტინის მწვრთნელად

არგენტინის ნაკრების ექსმწვრთნელმა ჯარლოს სალვადორ ბილარდომ ლიმაში, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, „ალბისელესტეს“ დამრიგებელი დიეგო მარადონა უნდა გამხდარიყოო



„2006 წლის მუნდიალის შემდეგ არგენტინის მწვრთნელად დიეგოზე უკეთესს ძნელად თუ მონახავდნენ. იგი ნაკრების თავკაცობისთვის მზად გახლდათ“ — თქვა ბილარდომ ლიმას უნივერსიტეტის საპრესკონფერენციო დარბაზში. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა და 1990-ის მეორეადგილოსანთა შეფი პერუში საფეხბურთო თემაზე ლექციების ჩასატარებლად მიიწვიეს.

მედიამ ბილარდოს პატაგონიელთა ახალ მწვთრნელ ალფიო ბაზილეზე აზრის გამოთქმაც სთხოვა. „არ მიყვარს ნაკრების დამრიგებლებზე საუბარი. ისე კი, დრო იყო „ალბისელესტე“ 1983-93 წლებში მოთამაშე ფეხბურთელებიდან ერთ-ერთს ჩაებარებინა“ — უპასუხა არგენტინელმა.

„დიეგოს მშვენივრად შეუძლია არგენტინის ეროვნული გუნდის მწვრთნელობა... ისევე, როგორც ნერი პუმპიდოს, ოსკარ რუჯერის, მიგელ რუსოს, ხორხე ბურუჩაგას, ოსკარ გარეს და ხოსე ლუის ბრაუნს“ — ჩამოთვალა სენიორ ბილარდომ თავისი ექსშეგირდები. ეს პატივცემული ხალხი 1983-დან 1990-მდე მსოფლიო თუ სამხრეთამერიკულ ტურნირებზე კარლოს ბილარდოს თავკაცობით იბრძოდა.

მწვრთნელს 2006 წლის მუნდიალზე ლეო მესის გამოსვლის შესახებაც ჰკითხეს. „ლეოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრი არ უთამაშია, მაგრამ მაინც მთელი არგენტინის მოჯადოება მოასწრო. ხოლო, რატომ არ იბურთავა ბარსელონელმა ყველა მატჩში, ეს პეკერმანს ჰკითხეთ“ — აღნიშნა ბილარდომ.

უნივერსიტეტში შეხვედრის დასასრულს პატაგონიელმა დამრიგებელმა დიდ პერუელ ფეხბურთელებზეც ისაუბრა: „პერუს ტრადიციულად შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავდა, მაგალითად, თეოფილო კუბილასი და სეზარ კუეტო. ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ ახალგაზრდა თაობა ძველების კვალს გაჰყვეს...“

ლადო ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპო ლევანტელი

იუვენტუსელი ოლივიე კაპო, სავარაუდოდ, კარიერას ესპანურ „ლევანტეში“ გაგრძელებს. კაპო კოტდივუარელია, მაგრამ ფრანგული პასპორტიც აქვს. როგორც „მარკა“ გვამცნობს, „ლევანტეს“ უშუალოდ ფეხბურთელთან საქმე მოუგვარებია და ახლა ჯერი „ბებერ ქალბატონზეა“.

ოლივიე კაპო, თუ გარიგება შედგა, მომავალ სეზონში „ლევანტეში“ იჯარით იბურთავებს. თუმცა ვალენსიური კლუბის უფროსობა არ გამორიცხავს, რომ 2006-07-ის კომპანიის დასასრულს, აფრიკელი სამ მილიონ ევროდ ყველა სატრანსფერო წესების დაცვით შეიძინოს. შეგახსენებთ, რომ „ბებერი ქალბატონის“ ნახევარმცველმა წინა სეზონში „მონაკოში“ იჯარით ითამაშა.

ლადო ხომერიკი

ესახლკარო

უდინეზე ნაქირავებიდან გააძევეს

„უდინეზემ“ აბონემენტების გაყიდვა გააჩერა. მიზეზი: კლუბი „სტადიო ფრიულიზე“ ვეღარ ითამაშებს და ახლა ახალი სარბიელის ძებნაშია.

„ეს იმის გამო ხდება, რომ სტადიონის ქირაობასთან დაკავშირებით ქალაქ უდინეს მერიასთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ — განმარტა კლუბის პატრონმა ჯამპაოლო პოცომ — თანხა, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტმა მოგვთხოვა, არანორმალურია. მათ სეზონში 400 ათას დოლარზე მეტი მოუნდათ, მაშინ, როდესაც, შედარებისთვის გეტყვით, ვერონის „კიევო“ „სტადიო ბენტეგოდიში“ დაახლოებით 120 ათასს იხდის. მოლაპარაკებები, აგერ უკვე წელიწადნახევარზე მეტია, ჩიხშია შესული“.

საქმე ის გახლავთ, რომ იტალიაში სტადიონების დიდი უმრავლესობა ქალაქების მუნიციპალიტეტებს ეკუთვნით, ხოლო კლუბებს გარკვეული დროით აქვთ ნაქირავები. თუ „უდინეზე“ ამ სეზონში „სტადიო ფრიულის“ ვერ დაიქირავებს, სავარაუდოდ, მალე მიაგნებს ახალ სარბიელს, თან ისეთს, სერია A-ს მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებდეს.

„აბონემენტების გაყიდვის შეჩერება კი ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემა გამოდგა. თავი დავანებოთ იმას, რომ ამან ეკონომიკური დარტყმა მოგვაყენა, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქომაგთა წინაშე იმიჯი შეგველახა. როგორი სათქმელია მათთვის, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით სად ვითამაშებთ მოახლოებულ სეზონში?“ — თქვა პრეზიდენტმა.

„სტადიო ფრიულიზე“ 41 825 ადამიანი ეტევა. ეს ნაგებობა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატისთვის ააშენეს. გასულ სეზონში „უდინეზეს“ თამაშებს საშუალოდ 16 447 მაყურებელი ესწრებოდა.

პაპუნა ძედია

გუტი მადრიდიდან მადრიდში

კოუტინიას ოფიციალურად ჩაცვეს

პორტუგალიელი კოუტინია ხუთშაბათს ოფიციალურად გახდა მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი. ფრანსიშკუ ჟოზე და კოუტა „ვისენტე კალდერონზე“ მომავალი ორი სეზონის განმავლობაში ითამაშებს.

„მადრიდში იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ გაისად უეფას თასზე ვითამაშო. „ატლეტიკოს“ შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს და საჩემპიონო ამბიციებიც უნდა გვქონდეს“ — თქვა პორტუგალიელმა ოფიციალურ პრეზენტაციაზე.

„ატლეტიკო“ თანაქალაქელი „რეალისგან“ ხოსე მარია გუტიერესის ყიდვასაც აპირებს. გუტი ადრეც იყო „ათლეტთა“ სატრანსფერო სამიზნეზე, თუმცა მაშინ მოლაპარაკება ჩაიშალა. დღეს კი „რეალის“ უფროსობა აცხადებს, რომ მადრიდელთა მეორე კაპიტანი „ბერნაბეუს“, 16 მილიონ ევროზე ნაკლებად არ დატოვებს.

სამეფო თეთრების მეთოთხმეტე ნომერი „ატლეტიკოს“ ძალიან გამოადგება. გუტის „რეალში“ ნახევარდაცვის ცენტრში, ფლანგებზე და თავდასხმაშიც უთამაშია.

მადრიდული გაზეთები კი აცხადებენ, რომ წელს გუტიერესის „კალდერონზე“ გადაბარგებას ხელს არაფერი შეუშლის — „რეალში“ ხოსე ანტონიო რეიესი და მაჰამადუ დიარა მოდიან საბურთაოდ, რაც გუტის ესპანური გრანდიდან გადასვლას ნიშნავს.

ლადო ხომერიკი

ჯანდაბაშიც ვითამაშებ

გავა თუ არა კამორანეზის მატარებელი?

მაურო კამორანეზიმ, ძალიანაც მინდა სადმე კარგ აღგილას მოწყობა, მაგრამ თუ არ გამოვიდა, ჯანდაბას, „იუვენტუსთან“ ერთად სერია **B**-ში ვითამაშებო. მოგეხსენებათ, მარჯვენა ნახევარმცველი და მისი აგენტი ბოლო კვირების განმავლობაში ახალი გუნდის ძებნაში აღამებდნენ და ათენებდნენ. ერთიცა და მეორეც ყველა ინტერვიუში ამბობდა, რომ არგენტინაში დაბადებულ-გაზრდილი, ხოლო დიდობაში იტალიელად ქცეული მსოფლიოს ჩემპიონი, სერია **B**-ში არაფრის დიდებით არ ითამაშებდა, მაგრამ ახლა მათ კატეგორიულობას აშკარად დააკლდა რეგისტრი.

„კეთილი, ვითამაშებ სერია **B**-ში, თუმცა საერთოდ იტალიიდან მინდა წასვლა. იმედგაცრუებული გახლავართ. ისე ვიცოდი, რომ ჩემს „ლიონში“ გადასვლას წინ აღარაფერი ედგა და განწყობაც უკვე შესაბამისი მქონდა, მაგრამ არ გამოვიდა — დანანებით განაცხადა იტალიელი დიდი პაპა-ბებიის ჩამომავალმა და დასძინა — გამაბრაზა იმან, რომ ერთადერთი კლუბი, რომელიც სერია **A**-დან გააგდეს „იუვენტუსი“ აღმოჩნდა. ვერც იმას გავამართლებ, სკუდეტო მესამე ადგილზე გასულ „ინტერს“ რომ გადაულოცეს. ვინ-ვინ და მე მოედნიდან კარგად ვგრძნობდი, რომ „იუვენტუსთან“ ყოველ შეხვედრას „ინტერი“ შიშით ატარებდა“.

ასე და ამგვარად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კამორანეზის მატარებელი ტურინიდან არსადაც არ გადის და გუშინ ფეხბურთელი ამ ამბავზე კლუბის ხელმძღვანელებს უნდა დალაპარაკებოდა.

„კლუბის ხელმძღვანელებთან საომარი არაფერი გვაქვს. ზოგ გაზეთში წერდნენ თითქოს სასამართლოში ჩივილს ვაპირებთ, რაც ტყუილია. უბრალოდ, მაუროს სერია **B**-ში თამაში არ უნდა და ამას ახლაც ვიმეორებ. როგორია, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოგების შემდეგ სერია **B**-ს გარემოში მოხვდე? მაგრამ, ამის მიუხედავად, თუ მწვრთნელი დიდიე დეშანი და კლუბის სხვა ხელმძღვანელები მის დატოვებას დაიჩემებენ, კამორანეზი კონტრაქტს პატივს სცემს“ — დააგვირგვინა აგენტმა სერჯო ფორტუნატომ.

პაპუნა კედია

კარიერის ბოლოდე

რუნის კალამ-ფურცელს უმზადებენ

„მანჩესტერ იუნაიტედი“ უეინ რუნის კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს, რომლის მიხედვითაც, ინგლისის ნაკრების წევრი მთელი თავისი სათამაშო კარიერის განმავლობაში „ოლდ ტრეფორდზე“ დარჩება.

„ეს სწორედ ისაა, რაზეც მე და კლუბის პრეზიდენტი დევიდ გილი დიდი ხანია, ვსაუბრობთ. ჩვენი მიზანია, უეინი კარიერის ბოლომდე „იუნაიტედში“ დარჩეს... იგი ენერგიულია, ენთუზიაზმით აღსავსე და უნდა, საუკეთესო იყოს. „მანჩესტერს“ სწორედ რუნისნაირი ფეხბურთელები სჭირდება“ — განაცხადა „წითელი ეშმაკების“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

რუნის, ამჟამინდელი კონტრაქტით, „ოლდ ტრეფორდთან“ დამშვიდობება 2010 წელს უწევს, თუმცა დევიდ გილი ამბობს, რომ ფეხბურთელთან სამომავლო შეთანხმების გამფორმებაზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

„ჩვენ რუნისთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ვგეგმავთ. თუმცა საჩქარო არაფერია, დროში შეზღუდულნი არ ვართ და ეს საქმე შეიძლება მოგვიანებთ გადავწყვიტოთ. მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და ფეხბურთელიც „იუნაიტედში“ დარჩენის წინააღმდეგი არ გახლავთ“ — თქვა ინგლისური გუნდის ჩინოსანმა.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ რუნი ორი წლის წინ „ევერტონისგან“ შეიძინა. „ოლდ ტრეფორდის“ წარმომადგენლებმა ლივერპულებს მაშინ 30 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

ლადო ხომერიკი

რიკსენი ნევის პირას იწუწავებს

სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა“ „რეინჯერსისგან“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი ფერნანდო რიკსენი იქირავა ერთი წლით. პეტერბურგელთა განცხადებით, რიკსენი რუსთა ძველ დედაქალაქში შემდეგ კვირას ჩავა. ამ ქირაობამ, შესაძლოა, ყველა მხარე კმაყოფილი დატოვოს, ვინაიდან ფეხბურთელი „რეინჯერსში“ თავს კარგად ვერ გრძნობდა და შესაბამისად, ვერც კლუბი იყენებდა მას თავის გემოზე. საინტერესო ისაა, რომ ივლისში „რეინჯერსმა“ რიკსენი, სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ სეზონისწინა ტურნეზე აღარ წაიყვანა, რისი მიზეზიც, როგორც ამბობენ, გახლდათ ის, რომ მან ბორტგამცილებელს წყალი შეასხა.

ასე და ამგვარად, „ზენიტი“ დიკ ადვოკაატის მწვრთნელობის ხანაში უკვე მეოთხე უცხოელს ყიდულობს. წინა სამნი გახლდნენ თურქი ფათიჰ თექე და კორეელები, ლი ჰო და კიმ დონგ ჯინი.

პაპუნა კედია

რიასორიდან სარდინეროზე

პედრო მუნიტისი სანტანდერის „რასინგში“ ბრუნდება. „ძალიან მიხარია, რომ ისევ ჩემს მშობლიურ კლუბს დავუბრუნდი, თუმცა „დეპორტივოსთან“ განშორებაც მწყინს, „რიასორზე“ ორი კარგი სეზონი გავატარე“ — განაცხადა მუნიტისმა ჟურნალისტებთან.

სანტანდერში მუნიტისს იქაური ფანები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ტანმოკლე პედრო „რასინგის“ გულშემატკივართა ნამდვილი კერპი გახლავთ. „დეპორტივომ“ კი კანტაბრიელი ფორვარდი თავისი სიყრმის კლუბს, მეკარე დუდუ ავატეში გაუცვალა. კონტრაქტის მიხედვით, პედრო „ელ სარდინეროზე“ მომავალი 5 სეზონის განმავლობაში დარჩება.

კანტაბრიელთა ფავორიტი 1975 წლის 19 ივნისს დაიბადა სანტანდერში. მუნიტისის სიმაღლე 1,69 მეტრია და 70 კილოს იწონის. პრიმერადივიზიონში დებიუტი 1995 წლის 22 იანვარს ჰქონდა. ითამაშა „ბადახოსში“, მადრიდის „რეალში“, სადაც ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი, ესპანეთის ჩემპიონობა და სუპერთასი მოიგო. შემდეგ იყო იჯარით ისევ „რასინგში“ ბურთაობა, ხოლო ბოლო სამი სეზონი „დეპორტივოს“ მოიერიშე გახლდათ...

სულ პედრომ პრიმერადივიზიონში 256 მატჩი ჩაატარა (აქედან 113 „რასინგში“) და 31 გოლი შეაგდო. ეროვნული გუნდის შემადგენლობაში კი 21-ჯერ ითამაშა.

ლადო ხომერიკი

ბედზე გამარჯვება

გაქცევა დეპორტივოში

ბევრმა ბრაზილიელმა მოთამაშემ ევროპული ფეხბურთის ვიზა ძალიან მალე მიიღო, მე კი ეს პროცესი გამიჭიანურდა. პირველად თითქოს კონტრაქტი ძლიერ იტალიურ კლუბ „პარმასთან“ უნდა გამეფორმებინა. სერია A-ში გადასვლის პერსპექტივით გახარებული ვიყავი და იტალიაში ჩემი გადაბარგებისთვისაც წესით, არაფერს არ უნდა შეეშალა ხელი — „პალმეირასს“ რივალდოზე უფლებების მხოლოდ 20 პროცენტი ეკუთვნოდა, დანარჩენი კი საერთაშორისო კომპანიის და კლუბ „პარმას“ მფლობელ „პარმალატის“ საკუთრება გახლდათ. რძის პროდუქტების კონცერნის წარმომადგენლებმა ბრაზილიაში ჩამომაკითხეს. დღესაც ვერ ვხვდები, რითი არ მოვეწონე და რატომ თქვეს რივალდოს ყიდვაზე უარი...

შემდეგ ჰორიზონტზე პსვ გამოჩნდა. ჰოლანდიელები ჩემი შეძენით რონალდოს ყიდვამდე დაინტერესდნენ. ევროპული კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე „შენობით“ ვიყავი, მაგრამ ეს გარიგებაც ჩაიშალა — „პალმეირასს“ არ მოეწონა რაღაც... ევროპულ გუნდებზე ხელი ჩავიქნიე და გადავწყვიტე, სათამაშოდ იაპონიაში წავსულიყავი — იქაური გუნდისგან, „ვერდი კავასაკისგან“, სარფიანი შემოთავაზება მივიღე, თანაც მაშინ „ვერდის“ ბრაზილიელი სპეციალისტი წვრთნიდა, ჩემი ძველი ნაცნობი „კორინთიანსიდან“. თუმცა საქმეში „პარმალატი“ ჩაერთო და განაცხადა, რომ რივალდოს მხოლოდ იტალიაში გაყიდიან. ერთი სიტყვით, დიდ სატრანსფერო გაწამაწიაში ვიყავი...

როცა უკვე ყველანაირი იმედი გადამეწურა, ხსნა ესპანეთისგან მოვიდა, „დეპორტივოს“ სატრანსფერო შემოთავაზებას შეეძლო, მოჯადოებული ბრაზილიური წრიდან გავეყვანე. ჩემმა თანამემამულე მაურო სილვამ დამირეკა და მირჩია, „დეპორში“ გადავსულიყავი. მაუროს ადრე არ ვიცნობდი, თუმცა ესპანურ პრიმერაში თამაშის იდეით მოვიხიბლე. სულ რამდენიმე დღის შემდეგ „პალმეირასის“ ბანაკში გალისიელთა აგენტები გამოჩნდნენ. სიტუაცია დინამიურად განვითარდა — „დეპორის“ წარმომადგენლები „პალმეირასთან“ და „პარმალატთან“ ერთად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ასევე ხშირად უკავშირდებოდნენ ტელეფონით ლაკორუნიელთა პრეზიდენტ ლენდოიროსაც, რათა მისგან დამატებითი რჩევები მიეღოთ. გავიდა ცოტა ხანი და უკვე ესპანეთში აღმოვჩნდი. „რიასორზე“ ბებეტო შევცვალე, რომელსაც დღესაც უზარმაზარ პატივს ვცემ. ჩემი კონტრაქტი ყველაზე ძვირადღირებული იყო, როგორც „დეპორტივოს“, ასევე „პალმეირასის“ ისტორიაში...

1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე ჩაფლავების შემდეგ ბედის მოწყალებამ სულზე მომისწრო. ვიტყვი, რომ ესპანეთმა ოლიმპიურ ცეცხლში დაფერფვლას გადამარჩინა. ატლანტაში ბრაზილიის ნაკრების წარუმატებლობა კი ვის დაბრალდა? რასაკვირველია, რივალდოს...

გალისიაში ბრაზილიიდან უსამართლო კრიტიკას გავექეცი. „დეპორტივომ“ ოლიმპიადის შემდეგ თხუთმეტდღიანი დასვენების უფლება მომცა. მე აქედან მარტო 5 დღე გამოვიყენე და ესპანეთში ჩავფრინდი, სადაც აეროპორტში ორი ათასმა ინჩასმა დიდი დახვედრა მომიწყო. „რიასორზე“ ჩემს ოფიციალურ წარდგენას კი რვა ათასი გალისიელი გულშემატკივარი დაესწრო. ინჩასებმა გულწრფელი მიღებით ადრე ფეხბურთისგან განცდილი უსიამოვნებები დამავიწყეს და მეც ვიფიქრე, რომ მათი სიყვარულისთვის მოედანზე კარგი თამაშით უნდა მეპასუხა. როცა ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში პირველი გოლები გამქონდა, მაისურას ვიხდიდი და „რიასორის“ რომელიმე ფანს ვჩუქნიდი.

აი, „დეპორტივოში“ უკვე ნამდვილად აღარ ვიყავი „პატაპალო“ ანუ „ხისფეხა“. სიტუაცია მთლიანად შეიცვალა — თუ ბრაზილიაში მოედანზე სახელგანთქმული და გამოცდილი ფეხბურთელების კომპანიას ვეძებდი, „დეპორტივოში“ უკვე რივალდო გახდა თითით საჩვენებელი მოთამაშე. თავიდან ჩემს ვარსკვლავობას „რიასორზეც“ ეჭვის თვალით უყურებდნენ, თუმცა ხანი გავიდა და ყველამ ქედი მოიხარა — „რივალდო „დეპორის“ ნამდვილი ლიდერია“ — წერდნენ გაზეთები.

იმავე სეზონში ესპანეთში სხვა ბრაზილიელებიც ჩამოვიდნენ, რონალდომ და ჯოვანიმ „ბარსელონაში“ დაიწყეს თამაში, რობერტო კარლოსმა კი მადრიდის „რეალში“. ხალხი ღმერთებივით გვიყურებდა, თუმცა სახელისა და მაღალი ანაზღაურების გამო პასუხისმგებლობაც დიდი დაგვეკისრა, ყველა თამაშზე როგორც გამოცდაზე ისე გავდიოდით. დანარჩენი ბიჭებისა ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მე როგორც თევზი წყალში ისე ვიყავი — ჩემი ცხოვრება ხომ ერთი დიდი გამოცდაა და ბედის ქიმუნჯებზე მიჩვეულს „ჩაჭრისა“ აღარ მეშინოდა...

მოულოდნელი სიტუაციები

ლა კორუნიაში ყოფნის პირველ წელიწადს ორ სერიოზულ პრობლემას წავაწყდი, რაც ბრაზილიაში არ შემხვედრია. დიდი ფეხბურთი მაინც დიდი ინტრიგების სამფლობელოა, სად იყო ბრაზილიაში ამდენი პოლიტიკური და ფინანსური ხლართები... მოვლენებს მცირედით წინ გავუსწრებ და გეტყვით, რომ დიდსაფეხბურთო ინტრიგებმა „დეპორზე“ მეტად „ბარსელონაში“ გამაწვალა.

გალისიაში პირველი პრობლემა მწვრთნელთან, ჯონ ტოშაკთან ურთიერთობისას შემექმნა. ახლა ამ სპეციალისტთან საკმაოდ ნორმალური დამოკიდებულება მაქვს, ალბათ, იმიტომ, რომ ერთმანეთს კარგა მანძილი გვაშორებს... მაშინ კი ტოშაკთან სერიოზული კამათი მომივიდა. უთანხმოება „ბილბაოსთან“ „რიასორზე“ შეხვედრისას დაიწყო. ფორმაში ვიყავი და ბასკებთან მშვენივრად ვითამაშე. ტრიბუნებიც სულ „რივალდო კამპეონს“ გაჰყვიროდნენ, თუმცა მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში ტოშაკმა ჩემი შეცვლა გადაწყვიტა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეგონა, ჩემი ნომრის გამოცხადება შეეშალათ. არაფერიც, მართლა შემცვალეს და როცა ანგარიში 1:1 იყო, მოედანზე ტოშაკმა განაპირა მცველი შემოიყვანა... მწვრთნელის გადაწყვეტილება ინჩასებმა სტვენით გააპროტესტეს, მე კი გასახდელს მივაშურე და იქიდან პირდაპირ სახლში წავედი. მოედანზე კი, აი, რა მოხდა:

„დეპორი“ ანგარიშში დაწინაურდა და ავმეხსიერებიანმა ტოშაკმა გულშემატკივრებს ოდინდელი სტვენის საპასუხოდ საკმაოდ არასასურველი ჟესტი აჩვენა, რაც ტელეკამერებმაც დააფიქსირეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი „ბილბაომაც“ გაიტანა და ტაბლოზე მატჩის საბოლოო ანგარიში 2:2 აენთო... ორი კვირის მერე ტოშაკი თანამდებობიდან მოხსნეს, ხოლო ხალხში ხმა დაირხა, ეს რივალდოს და რამდენიმე სხვა დეპორელის ნამოქმედარი არისო.

მეორე კონფლიქტურმა სიტუაციამ „ბარსელონაში“ გადასვლამდე მცირე ხნით ადრე შემაწუხა. არდადეგების დრო იყო და ჩვენ, „დეპორის“ სამმა ბრაზილიელმა (რივალდო, მაურო სილვა და დონატო), მწვრთნელ კარლოს ალბერტო და სილვას თხოვნით მივმართეთ, ნება დაერთო სამშობლოდან კლუბში ერთი დღით გვიან დავბრუნებულიყავით.



გაგრძელება იქნება

ერიკსონი მისაღებს მიიღებს



აი, ცხოვრებაც ამას ჰქვია! სვენ გორან ერიკსონი ინგლისელებისგან, უფრო ზუსტად კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან, მომავალი წლის ბოლომდე მიიღებს ხელფასს. მერედა, ერიკსონის ხელფასი ფრიად განსაკუთრებული რამ გახლავთ. როგორც ამბობენ, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი ამ დარჩენილ დროში 3,4 მილიონ გირვანქას კიდევ ჩაიჯიბავს, გირვანქა კი დოლარი არ გეგონოთ, მეტია.

საბრალო ასოციაცია, ახალ მწვრთნელს სტივ მაკლარენს წელიწადში 3 მილიონი დაუნიშნა და გამოდის, რომ გვარიანი ხარჯი აქვს გასაწევი.

ახლა იმის შესახებ თუ რატომ უნდა უხადონ შვედს ლონდონიდან ფული. მიზეზი მარტივია — საქმის გახლავთ, რომ ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად, ერიკსონმა სრული ხელფასი 2007 წლის 31 იანვრამდე, ხოლო ნახევარი იმავ წლის 30 ივნისამდე უნდა მიიღოს. საერთოდ, ერიკსონსა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება 2008 წლამდეა და მასში წერია, რომ თუ შვედი დღეიდან მომავალი წლის ივნისამდე რაიმე სამუშაოს იშოვნის, ასოციაცია დაფარავს იმ სხვაობას, რომელიც მის ახალ და ინგლისურ ჯამაგირებს შორის იქნება.

გუშინ ამ და სხვა საკითხებზე სამსჯელად ასოციაციის საბჭო უნდა შეკრებილიყო. სხვათა შორის, ამ საბჭოში ბევრი უკმაყოფილოა იმით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნისთვის ერიკსონი არანირად არ დაისაჯა.

ინგლისის ნაკრებთან შესაძლო გაყრის პირობები მწვრთნელმა შარშან იანვარში, ორგანიზაციის აღმასრულებელ შეფ ბრაიან ბერვიკთან შეთანხმა. მაშინ ერიკსონი ამბობდა, რომ ეს ფორმალობა იყო, სინამდვილეში კი ინგლისის მხარეს ერთი პენიც არ დაეხარჯებოდა, მაგრამ როგორც ხედავთ ეხარჯება და მერე როგორ.

პაპუნა ქედია

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XV ტური

ინტერი 0:0 ტურკუ

ჰონკა	15	9	2	4	33:19	29
ტამპერე	14	9	2	3	21:12	29
ჰიკ	15	8	3	4	26:11	27
ჰაკა	14	8	3	3	20:10	27
ტურკუ	15	7	3	5	25:19	24
მარიეჰამნი	15	6	4	5	19:15	22
ლაჰტი	15	5	3	7	12:19	18
კტპ	14	5	2	7	14:28	17
მიუპა	13	4	4	5	12:12	16
ვაასა	15	4	4	7	16:21	16
იარო	14	3	4	7	16:19	13
ინტერი	13	3	3	7	9:22	12
კუოპიო	14	2	3	9	9:25	9

სარბიელი და კროკი წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. ჩემპიონატი

12 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:30	14	სტოკი-ბირმინგემი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
18:00	15	სანდერლენდი-პლიმუთი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
18:00	16	ლესტერი-იფსვიჩი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	17	ნორვიჩი-ლუტონი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
18:00	18	ქპრ-საუთენდი	2.20	3.10	3.10	1.28	1.28	1.54
18:00	19	უენსდი-ბარნსლი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
18:00	20	საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
18:00	21	კარდიფი-ქოვენტრი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
20:30	22	კოლჩესტერი-ბარნსლი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
20:30	407	ჰალი-დერბი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52

13 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	23	კრისტალ პალასი-ლიდსი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60

ინგლისი. I ლიგა

12 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	36	ბლექპული-როტერჰემი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
18:00	37	ბრედფორდი-ჯილინგემი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	38	ბრაიტონი-ბრენტფორდი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	39	ჩელტენემი-პორტ ვეილი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
18:00	40	ჩესტერფილდი-მილუოლი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
18:00	41	დონკასტერი-ტრანმერი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	42	ჰადერსფილდი-ბრისტოლი	2.40	3.10	2.75	1.35	1.28	1.45
18:00	43	ლეიტონი-ბორნმუთი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
18:00	44	ნორთჰემპტონი-ნოტინგემი	2.95	3.20	2.15	1.53	1.24	1.28
18:00	45	ოლდემი-სუონსი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
18:00	46	სკანთორპი-ქრიუ	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
18:00	47	იოვილი-კარლაილი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48

ინგლისი. II ლიგა

12 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	60	აკრინგტონი-ბარნეტი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
18:00	61	ბოსტონი-დარლინგტონი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
18:00	62	როვერსი-გრიმსბი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	63	ბერი-შრიუსბერი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
18:00	64	ჰერეფორდი-ჩესტერი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	65	მაკლსფილდი-დონსი	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
18:00	66	მენსფილდი-სტოკპორტი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
18:00	67	ნოტსი-უიკომბი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
18:00	68	სუინდონი-როჩდეილი	1.60	3.40	5.20	1.08	1.22	2.05
